

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთათვის და დაზარალებულთათვის
ერთჯერადი კომპენსაციის გაცემის წესი

მუხლი 1. წესის რეგულირების საფუძველი, მიზანი და სფერო

1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) მსხვერპლთათვის და დაზარალებულთათვის ერთჯერადი კომპენსაციის გაცემის წესი (შემდგომ - კომპენსაციის გაცემის წესი) დამტკიცებულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს (შემდგომ - საკოორდინაციო საბჭო) მიერ, „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საკოორდინაციო საბჭოს 2021 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე.
2. კომპენსაციის გაცემის წესი არეგულირებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთათვის და დაზარალებულთათვის გასაცემი ერთჯერადი კომპენსაციის ოდენობას, მისი გაცემის პროცედურასა და ვადებს.
3. ერთჯერადი კომპენსაციის გაცემის მიზანია, მსხვერპლსა და დაზარალებულზე ორიენტირებული მიდგომით და დისკრიმინაციის გარეშე, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთათვის და დაზარალებულთათვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შედეგად მიყენებული მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანის ანაზღაურება და მათი სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა.
4. კომპენსაციის გაცემის წესი ძალაშია 2021 წლის 28 აპრილიდან.

მუხლი 2. კომპენსაციის მოთხოვნის უფლება

1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს, დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შედეგად მიყენებული ფიზიკური, მორალური ან ქონებრივი ზიანის ანაზღაურება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურებისგან დამოუკიდებლად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს, დაზარალებულს უფლება აქვს, მისთვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შედეგად მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანის მიყენებისთვის მოითხოვოს ერთჯერადი კომპენსაცია, რომელსაც გასცემს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო (შემდგომ - სააგენტო) კომპენსაციის გაცემის წესის შესაბამისად.

3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს და დაზარალებულს, მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსის მიღებისთანავე, უფლება აქვს მიმართოს სააგენტოს ერთჯერადი კომპენსაციის გაცემის მოთხოვნით.

4. ერთჯერადი კომპენსაციის გაცემა დამოკიდებული არ არის მსხვერპლის, დაზარალებულის სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობაზე ან/და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულში მსჯავრდებულისგან ზიანის ანაზღაურების შეუძლებლობაზე.

5. თუ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლმა, დაზარალებულმა მიიღო ერთჯერადი კომპენსაცია, ხოლო ბრალდებული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ ან/და 143² მუხლით, მიღებული ერთჯერადი კომპენსაცია მსხვერპლს, დაზარალებულს არ აბრკოლებს მოითხოვოს, მორალური, ფიზიკური და ქონებრივი ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

6. საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული მსხვერპლი, ერთჯერადი კომპენსაციის მიღების შემდეგ, არ არის უფლებამოსილი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით დაზარალებულად ცნობის შემთხვევაში კვლავ მოითხოვოს ერთჯერადი კომპენსაცია.

7. კომპენსაციის გაცემის წესი ვრცელდება აგრეთვე იმ პირზე, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსი მიიღო კომპენსაციის გაცემის წესის ამოქმედებამდე.

მუხლი 3. ერთჯერადი კომპენსაციის ოდენობა

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთათვის, დაზარალებულთათვის სააგენტოდან თითოეულ მსხვერპლზე და დაზარალებულზე გასაცემი კომპენსაცია განისაზღვრება 1000 ლარის ოდენობით. კომპენსაცია გაიცემა ერთჯერადად და იგი არ ექვემდებარება დაბრუნებას.

მუხლი 4. კომპენსაციის გაცემის პროცედურა

1. ერთჯერად კომპენსაციას მიიღებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი – პირი, რომელსაც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შედეგად მიაღდა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი და რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ მიენიჭა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსი.

2. ერთჯერად კომპენსაციას მიიღებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის დაზარალებული - პირი, რომელსაც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის)

დანაშაულის შედეგად მიადგა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი და რომელსაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი სამართალდამცავი სტრუქტურის მიერ მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი.

3. ერთჯერადი კომპენსაციის მისაღებად მსხვერპლმა ან/და დაზარალებულმა განცხადებით უნდა მიმართოს სააგენტოს და უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ორგანოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისთვის მინიჭებული მსხვერპლის ან/და დაზარალებულის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, პირადობის საიდენტიფიკაციო ნებისმიერი დოკუმენტი (დედნის არარსებობის ან დაზიანების შემთხვევაში, შესაძლებელია ასლის წარმოდგენაც) და საბანკო რეკვიზიტები.

4. არასრულწლოვანი ან/და მხარდაჭერის მიმღები მსხვერპლის ან/და დაზარალებულის შემთხვევაში ერთჯერადი კომპენსაციის მისაღებად მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა/მხარდამჭერმა უნდა წარადგინოს ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ დოკუმენტებთან ერთად კანონიერი წარმომადგენლობის/მხარდამჭერის დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლს, დაზარალებულს არ გააჩნია საბანკო ანგარიში, მას უფლება აქვს წარმოადგინოს მისი ნდობით აღჭურვილი სხვა პირის საბანკო რეკვიზიტები.

6. სააგენტო განიხილავს კომპენსაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს და გონივრულ ვადაში (რაც არ უნდა აღემატებოდეს 14 კალენდარულ დღეს დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენიდან) იღებს გადაწყვეტილებას კომპენსაციის გაცემის ან კომპენსაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. კომპენსაციის გაცემაზე უარი უნდა იქნეს დასაბუთებული. გადაწყვეტილება კომპენსაციის გაცემისა თუ გაცემაზე უარის თქმის შესახებ ფორმდება სააგენტოს დირექტორის ბრძანებით.

7. მსხვერპლისთვის/დაზარალებულისთვის კომპენსაცია არ გაიცემა, თუ:

- ა) არ არის ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები სრულყოფილად წარმოდგენილი;
- ბ) არასრულწლოვანი ან/და მხარდაჭერის მიმღები მსხვერპლის ან/და დაზარალებულის შემთხვევაში არ არის ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები სრულყოფილად წარმოდგენილი;
- გ) დარღვეულია ამ მუხლის მე-10 ან მე-11 პუნქტებით გათვალისწინებული ვადები;
- დ) მსხვერპლზე ან/და დაზარალებულზე უკვე გაიცა ერთჯერადი კომპენსაცია;
- ე) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8. კომპენსაციის გაცემის ან კომპენსაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სააგენტოს დირექტორის ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ერთჯერადი კომპენსაციის გაცემა წარმოებს გადარიცხვით ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

10. მსხვერპლს, დაზარალებულს, გარდა კომპენსაციის გაცემის წესის მეორე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული პირებისა, უფლება აქვს კომპენსაციის მიღების მოთხოვნით მიმართოს სააგენტოს მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსის მიღებიდან 3 წლის ვადაში.

11. კომპენსაციის გაცემის წესის მეორე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ პირებს უფლება აქვთ კომპენსაციის მიღების მოთხოვნით მიმართონ სააგენტოს კომპენსაციის გაცემის წესის ამოქმედებიდან 5 წლის ვადაში.

12. სააგენტო უზრუნველყოფს მსხვერპლის საიდენტიფიკაციო მონაცემების სრულიად საიდუმლოდ შენახვას.